საქართველოს მთავრობის

დადგენილება №360

2016 წლის 28 ივლისი

ქ. თბილისი

„სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/01/2015, 010220020.10.003.018389) შეტანილ იქნეს ცვლილება და პირველი მუხლის პირველი პუნქტის:

1. „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) **ალექსანდრე ჯეჯელავა** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე);“.

2. „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) **მანანა რატიანი** - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;“.

3. „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჟ) **გრიგოლ მურღულია** - შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის“ სკოლის დირექტორი;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**